

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

## თანამშრომლობით კულტურაზე დაფუძნებული მასწავლებელთა პროფესიული განვითარება

მაია მამისეიშვილი

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის N1 საჯარო სკოლის დირექტორი

### რეზიუმე

მასწავლებელი სასწავლო პროცესის ერთ-ერთი მთავარი ღერძია. სკოლის წარმატებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას, რასაც სკოლის ხელმძღვანელობა უნდა ახორციელებდეს და ახალისებდეს. ამ მხრივ აღსანიშნავია გეგუთის N1 საჯარო სკოლაში დანერგილი სიახლეები, როგორცაა მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული შიდა სასკოლო შეფასების სისტემა. მასწავლებლების წარმატებას სასერთიფიკაციო გამოცდებში და განათლების ინოვაციური გამოწვევების დაძლევაში, მათ უმტკივნეული ჩართვას „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის სქემაში“ ხელს უწყობს ასევე სკოლის ხელმძღვანელობის მიერ მასწავლებელთა საჭიროებების კვლევა და თანამშრომლობითი გარემო, სადაც ხდება გამოცდილების გაზიარება, სიახლეების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება. ასევე მნიშვნელოვანია საგნობრივი კათედრების მუშაობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიმართულებით, რაც ამაღლებს მასწავლებელთა თანამშრომლობის ხარისხს და პროფესიულ მოტივაციას.

**საკვანძო სიტყვები:** თანამშრომლობა, სკოლის კულტურა, უწყვეტი პროფესიული განვითარება

სკოლის წარმატებული საქმიანობის ძირითადი მახასიათებელი წარმატებული მოსწავლე და მასწავლებელია. თანამშრომლობითი კულტურა სკოლის ყველა წარმომადგენელს აერთიანებს საერთო ღირებულებებით და ინტერესებით. ყველა მასწავლებელს არ აქვს შესაძლებლობა უწყვეტ რეჟიმში ეცნობოდეს განათლების სისტემაში მიმდინარე სიახლეებს და შესაბამისად მიიღოს, განახორციელოს და შეაფასოს რეფორმის ფარგლებში დაგეგმილი გამოწვევები. ამ პროცესში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება სკოლის დირექტორს, რომელიც ობიექტური, კომპეტენტური და ავტორიტეტული სახე უნდა იყოს სკოლაში. მასწავლებელი – დირექტორი თვით უნდა გახდეს სახე უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვისა, შეძლოს წარმატებით გაართვას თავი სასერთიფიკაციო

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

გამოცდებს და ინოვაციურ პრაქტიკას. მნიშვნელოვანია, მუდმივად უზიარებდეს გამოცდილებას სხვებს და იზიარებდეს სხვათა აზრს.

მოგეხსენებათ ორმხრივი თანამშრომლობა, მინიმუმ, ორი მხარის თანაბარ მზაობას საჭიროებს. საჯაროსკოლისდირექტორისსტანდარტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა პროფესიულგანვითარებაზეზრუნვა :

მუხლი 5. მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა

- 1. საჯარო სკოლის დირექტორი ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას, ქმნის ხელსაყრელ, კონსტრუქციულ და წამახალისებელ გარემოს.
- 2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სტანდარტის შესრულება განისაზღვრება შემდეგი ინდიკატორებით:
  - ა) საჯარო სკოლაში შემუშავებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სასკოლო პროგრამა, რომელიც შეესაბამება მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს, მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემას და პასუხობს საჯარო სკოლის საჭიროებებს;
  - ბ) საჯარო სკოლაში დანერგულია მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული შიდა სასკოლო შეფასების სისტემა;
  - გ) საჯარო სკოლაში მოქმედებს მენტორ-მადიებლობის პროგრამა; მასწავლებლებს შორის გამოცდილების, ცოდნისა და უნარების ურთიერთგაზიარება.

რას ნიშნავს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, ხელსაყრელი, კონსტრუქციული და წამახალისებელ გარემო?

გამოყოფდი 10 ძირითად მიმართულებას:

- მასწავლებლის საჭიროებების დადგენაზე ზრუნვა
- პროფესიული განვითარების მიზნით ერთობლივად დაგეგმილი აქტივობები
- ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობა
- თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ობიექტურობის მაღალი მოლოდინები
- მიღწეული შედეგის აღიარება
- მოწესრიგებული, თავისუფალი სასწავლო გარემო
- გამოცდილების გაზიარება
- წახალისებული ინიციატივები;
- სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობის ხელშეწყობა
- უწყვეტი პროფესიული განვითარება

ვის ენდობა მასწავლებელი სკოლაში ?

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

- მას, ვინც იზიარებს მის პრობლემებს
- მას, ვისაც შეუძლია დაეხმაროს საჭიროებების დადგენასა და პროფესიულ განვითარებაში
- მას, ვინც არ უბიძგებს კონფლიქტისკენ და კონფლიქტისას იღებს სამართლიან გადაწყვეტილებებს
- მას, ვისაც შეუძლია მისი შრომის დაფასება და აღიარება
- მას, ვისი შენიშვნაც კონსტრუქციულია და მისაღები
- მას, ვისაც ენდობა...

მასწავლებელთა საჭიროებების კვლევა სკოლის დირექტორისათვის ერთ-ერთი უწყვეტი სამუშაოა. ეს ეხმარება გაითვალისწინოს ყველას შესაძლებლობები და საჭიროებები და თანამშრომლობით პრინციპებზე დაყრდნობით დაიცვას და განავითაროს სკოლის კულტურა.

მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის პროცესისთვის გეგუთის N1 საჯარო სკოლაში შექმნილია თანამშრომლობითი გარემო და ყველა სიახლეს განვიხილავთ გამოცდილების გაზიარების, რეკომენდაციებისა და წარმატებული პრაქტიკის საფუძველზე.

ყოველი სემესტრისა და სასწავლო წლის ბოლოს სკოლაში მასწავლებელთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კითხვარების შედეგების განხილვით ვადგენთ საჭიროებებს და ერთად ვმსჯელობთ გაუმჯობესების გზებზე. არანაკლებ მნიშვნელოვანია ჩვენს სკოლაში დანერგილი პრაქტიკა „ერთობლივად დაგეგმილი გაკვეთილი“. ეს პროცესი ძალიან საინტერესოა გამოცდილების გაზიარებისა და მასწავლებლის პრაქტიკაზე დაკვირვების კუთხით.

აქვე აღვნიშნავ, რომ სკოლის თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კითხვარები ამ ეტაპამდე სკოლის მიერ იყო შემუშავებული და გაცილებით ზედაპირულ ინფორმაციას მოიცავდა, ვიდრე დღეს არსებული მასწავლებელთა თვითშეფასების კითხვარი. თუმცა ისიც მნიშვნელოვანია, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის N1 საჯარო სკოლის მასწავლებელთათვის „თვითშეფასების კითხვარი“ არ წარმოადგენს აქილევსის ქუსლს და დარწმუნებული ვარ, რომ მათი შეფასებები ობიექტური და კონსტრუქციული იქნება. ამის საფუძველს მამლევს მასწავლებელთა მიერ კარგად გათავისებული უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა. პედაგოგთათვის ჯანსაღი კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა დირექტორის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია. სკოლაში დამკვიდრებულმა პრაქტიკამ ცხადყო, რომ მასწავლებელს არ უნდა ჰქონდეს შეზღუდული ნებისმიერი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა და ამასთანავე კარგად ესმოდეს, რომ შესაძლოა საერთო ფონზე მისი აზრი უმცირესობაში აღმოჩნდეს, თუმცა ეს არ იყოს ტრაგედია, რადგან საერთო საქმეში მასწავლებლის როლი უმნიშვნელოვანესია.

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

თანამშრომლობითი კულტურის მაღალი დონე სასკოლო ცხოვრებას ხდის უფრო მიმზიდველს და განვითარების პროცესში ერთმანეთის საჭიროებას გარდაუვალ აუცილებლობად წარმოადგენს.

სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულების აქტიური თანამშრომლობა ხელს უწყობს მასწავლებელთა მოტივაციის ზრდას და ასევე პასუხისმგებლობათა დელეგირების პროცესს.

სკოლის პედაგოგიური საბჭო, სკოლის სამეურვეო საბჭო, დისციპლინური და სააპელაციო კომიტეტების წარმადგენლები მასწავლებლები არიან, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მათ მონაწილეობას სკოლის მართვის პროცესში.

არ მეგულება სკოლა, სადაც თავიდანვე დიდი პასუხისმგებლობით გაითავისა მასწავლებელმა დაკისრებული მოვალეობები და მიზნად დაესახა გაცნობოდა ლიტერატურას, შესაბამის საკანონმდებლო აქტებს და ბუნებრივად, წესისამებრ დამოუკიდებლად ემოქმედა მისი კომპეტენციის ფარგლებში. ყველას ზედმეტ ტვირთად მიაჩნდა სასკოლო პროცესში აქტიური ჩართვა. თავიდანვე შეიქმნა სურათი, რომელიც ჩვენგან, სკოლის დირექციისგან, მოითხოვდა ქმედითი ნაბიჯების გადადგმას. მთავარი გასაღები ხელთ გვეჭირა, ვიცოდით, როგორები არ უნდა ვყოფილიყავით. ისიც გარკვეული გვექონდა, თუ რა იყო მისაღწევი მიზანი. სირთულეს ქმნიდა მიზნამდე მისაღწევი აქტივობების ეფექტურობის განსაზღვრა და დადგენილი ვადების ოპტიმალურობა, ასევე, განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების კვალდაკვალ განვითარება.

თავდაპირველად, სკოლის დირექცია საკუთარი ძალებით შეეცადა მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას. პირველ რიგში, რაც მასწავლებელთა წინაშე მოთხოვნები გაჩნდა, დანერგვის პროცესი პირველებმა ჩვენ დავიწყეთ. საჩვენებელი გაკვეთილების ჩატარება, გაკვეთილებზე დასწრებები, სასკოლო პროექტების მომზადება/ დანერგვა, საკუთარ პრაქტიკაზე საუბარი, ასევე პრობლემების წარმოჩენა, გაუმჯობესების გზების დასახვა. ეს ის თემებია, რომელთა განხილვას სკოლის დირექცია დიდ დროს უთმობდა მასწავლებლებთან შეხვედრისას.

სკოლის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, დავრწმუნდებით, რომ თანამშრომლობით კულტურაზე დაფუძნებულმა ურთიერთობებმა ხელი შეუწყო მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას.

დღეის მდგომარებით სკოლის 23 მასწავლებლისგან 14 სერთიფიცირებულია და საერთო მაჩვენებლით სტატუსით უფროს მასწავლებლებს მასწავლებელთა საერთო რაოდენობის 61% წარმოადგენს, მათ შორის: დაწყებითი კლასები --2 მასწავლებელი / 50%/, ქართული ენა და ლიტერატურა-- 2 მასწავლებელი /66%/, მათემატიკა--3 მასწავლებელი /75%/, უცხო ენები--3 მასწავლებელი /75%/, ფიზიკა--1 მასწავლებელი / 100 %/, ქიმია--1 მასწავლებელი /100 %/, ბუნებისმეტყველება-1 მასწავლებელი /100 %/, ხელოვნება-1 მასწავლებელი /50 %/, ისტორია --1 მასწავლებელი /50%/, სამოქალაქო განათლება -1 მასწავლებელი /50 %/, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერიმენტალური ნაწილი--1 მასწავლებელი / 33%/

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას სასერთიფიკაციო გამოცდების შედეგებით ჰყავს 2, 3 და 4 სერთიფიკატის მფლობელი რამდენიმე მასწავლებელი. ამ ეტაპამდე მისვლას ხელი შეუწყო თანამშრომლობით კულტურაზე დაფუძნებულმა ურთიერთობებმა. საგნობრივ კათედრებთან თუ ინდივიდუალურად თითოეულ მასწავლებელთან დირექციის აქტიურმა შეხვედრებმა, გამოცდილების გაზიარებამ და პროფესიული განვითარების ტრენინგებში მონაწილეობამ შედეგი ნამდვილად მოიტანა.

2007 წლიდან დღემდე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის N1 საჯარო სკოლა ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად თვლის თანამშრომლობით კულტურაზე დაფუძნებულ მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას. პედაგოგების ერთმანეთისადმი კოლეგიალური დამოკიდებულება მისაბამი მაგალითია მათი აღსაზრდელებისა თუ მშობლებისთვის. ამასთან, ეს დამოკიდებულება განსაზღვრავს თანამშრომელთა საერთო პროფესიულ მდგომარეობას, სასკოლო კულტურას.

სკოლაში შექმნილმა საგნობრივმა კათედრებმა, ასევე, აღნიშნული სასწავლო ჯგუფების სავალდებულო შეხვედრებმა გააუმჯობესა მასწავლებელთა თანამშრომლობის ხარისხი და გაზარდა მოტივაცია და კონკურენცია. დღეს სკოლაში ყველა მასწავლებელი განსაკუთრებული ინტერესით განიხილავს საგანმანათლებლო სიახლეებს, ფიქრობს უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე და უკვე თავდაჯერებულებს თამამად შეუძლიათ სხვებს გაუზიარონ გამოცდილება.

**ლიტერატურა:**

1. ნინო ნიჟარაძე—„პროფესიული გარემო“ / 2008წ./
2. ჯეკი თერნბული „პროფესიონალი მასწავლებლის 9 მახასიათებელი“ /2009წ./
3. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა „სკოლის დირექტორთა გზამკვლევი“ /2012წ./